

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №22

ქ. თბილისი

09.12.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

აკაკი ხელაძე - შპს "საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი;

ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის" დეკანი, პროფესორი;

რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ირაკლი ზვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

თეონა ჟუჟუნაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია:

1. სალომე პირველი - რექტორი;
2. მარინე კობალავა - ვიცე რექტორი;
3. მერაბ მიქელაშვილი - აფილირებული პროფესორი და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მაია ვასაძე - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი;
5. ლელა ბახტაძე - ფინანსური დირექტორის მრჩეველი;
6. თეა თულაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელი;
7. მაია ადგაძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და PR სამსახურის ხელმძღვანელი;
8. მაია ხურცილავა - რექტორის მრჩეველი;
9. მიხეილ მაჩიტაძე - რექტორის წარმომავალ პასუხისმგებელი პირი;
10. სოფიკო ალფაიძე - ბიბლიოთეკარის თანაშემწე.

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. გიორგი მარგველაშვილი - რექტორი;
2. რუსუდან თევზაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
3. ანანო სამსონაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (მ/შ);
4. თამარ ვეფხვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი ავტორიზაცია/აკრედიტაციის საკითხებში;
5. ოთარ ლითანიშვილი - კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანი;
6. თინათინ ჭაბუკიანი - კინო-ტელე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
7. დავით ჯანელიძე - მხატვრული კინორეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი;
8. ქრისტინე ოზოლაძე - იურისტი;
9. ნოდარ ციციშვილი - შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

დინა ლეჟავა;
ლარისა პატარაია;
ია მოსაშვილი;
ბაქარ დუაძე;
ნინო ტალიაშვილი;
ნინო ღალანაძე;
მარი რუაძე.

სხვა დამსწრე პირები:

ანა წამალაშვილი - სტენოგრაფისტი

მარინა მიქაუტაძე - პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი

გია ჭუბაბრია - პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი

ნინო მაჭავარიანი - პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი

მერაბ გედია - პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი

სხდომა დაიწყო 15:13 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ასევე დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, ძირითადი რეკომენდაციები და მიგნებები. ექსპერტებმა საბჭოს წინაშე წარადგინეს რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია მისიაში არსებული ძირითადი განაცხადები რეალურად ითარგმნოს პროგრამის დონეზე და ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავდეს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ საკუთარი მისიის რეალურად განხორციელებას;
2. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის რესურსებიდან და ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ფოკუსი გაკეთდეს ლოკალური ბაზრის გამოწვევების დაკმაყოფილებაზე; სხვა შემთხვევაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი სასწავლო დაწესებულების განუხორციელებელ მისიაზე მიგვითითებს, რაც აღმოჩნდება ტყუილი დაპირება როგორც მომხმარებლისთვის და მთლიანად შეზღუდავს ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულების განხორციელებას;
3. რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმაში საჭირო რესურსები დეტალურად იყოს გაწერილი, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური და მატერიალური;
4. რეკომენდირებულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იყოს გაზომვადი;
5. რეკომენდირებულია დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ჩაატაროს სტრატეგიული აუდიტი, შეისწავლოს კონკურენტები და გაიაზროს საკუთარი დანიშნულება და უნიკალური კომპეტენციები კონკურენტებთან მიმართებაში, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდში მოუტანს მას მდგრადობას;
6. გადაიხედოს უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულების ხელმძღვანელთა პოზიციებზე დანიშვნის პროცედურები, გათვალისწინებულ იქნას კანდიდატების/პირების ექსპერტიზა და გამოცდილება; გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნას დებულებებით გათვალისწინებული სამუშაოს მათზე რეალურად გადანაწილება;
7. რეალურად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან რექტორისა და ვიცე-რექტორის ფუნქციები, რასაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის დებულება; 8. ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით

დაიხვეწოს შიდა მექანიზმები, კერძოდ, გამოყენებულ იქნას თვისებრივი მეთოდებიც, როგორც ამას ითვალისწინებს სამსახურის დებულება;

9. მოხდეს რაოდენობრივ მონაცემთა სიღრმისეული ანალიზი, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს უკეთ განსაზღვროს საჭიროებები;

10. უზრუნველყოფილ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური პროგრამის ხარისხის რეალური შეფასება;

11. აკადემიური პერსონალისთვის შემუშავდეს ციტირების ერთიანი წესი, ან დადგინდეს ციტირების რომელ საერთაშორისო ნორმას იყენებს უნივერსიტეტი;

12. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ცოდნის ამაღლება არსებულ ციტირების სტანდარტებთან მიმართებაში; 13. წინასწარ ჩატარებული კვლევები შრომის ბაზრის მოთხოვნების გამოსავლენად პროგრამის განვითარების მიზნით;

14. კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარება კარიერულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მაჩვენებლის მიღების მიზნით;

15. პროგრამის განახლება ხდებოდეს კვალიფიციური კადრების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსებით;

16. განხორციელდეს პროგრამის მონიტორინგი დარგობრივ ჭრილში;

17. თავისი მისიის შესასრულებლად და სტუდენტებისათვის შიდა მობილობის შესაძლებლობით უზრუნველსაყოფად, სასწავლებელმა უნდა მისცეს პრიორიტეტი ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რითაც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას მუდმივად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში;

18. სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულება ხდებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით დადგენილ ვადებში.

19. სწავლება მიმდინარეობდეს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტთა უშუალო ჩართულობის გზით;

20. რეკომენდირებულია გადაიხედოს და განახლდეს პროგრამა. პროგრამის მიზნები და შედეგები პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულების გამოშვებას ემსახურებოდეს;

21. რეკომენდირებულია პროგრამაში რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული კურსი შემოვიდეს, რომელსაც უხელმძღვანელებენ პრაქტიკოსი სპეციალისტები;

22. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა ფოკუსირება გააკეთოს რომელიმე ერთ მიმართულებაზე (ფინანსები, მარკეტინგი, აუდიტი, მენეჯმენტი და ა.შ.) და პროგრამა გააძლიეროს ამ მიმართულებით;

23. რეკომენდირებულია დუბლირებული კურსების ჩანაცვლება;

24. თითოეული კურსის შეფასების სტრატეგია უნდა გადაიხედოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი შესაბამისობაშია სტუდენტთა მიერ სწავლის განცხადებული შედეგების მიღწევას.

25. სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;

26. გადაიხედოს უნიფიცირებული შეფასების ფორმები და კომპონენტები და შემუშავდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კურსზე მორგებული სისტემა, სადაც ნათლად იქნება ასახული კურსის მიზნებიდან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგების რელევანტური შეფასების მიდგომა;

27. პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა იყოს მკაფიო; ამისთვის განხორციელებული მექანიზმები იყოს ქმედითი;
28. უზრუნველყოფილ იქნას რომ სასწავლო კურსები წაიკითხოს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალმა;
29. დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მოხდეს პერსონალის წახალისების, კვლევის დაფინანსებისა და სხვა ბონუსური სისტემის რეალური გეგმის შედგენა;
30. შემუშავებულ იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების ქმედითი მექანიზმები;
31. მოხდეს პერსონალის დაგეგმვის ადეკვატური მექანიზმის შემუშავება იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მომავალში, სტუდენტური კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, დამატებითი პროფესიონალი კადრების მოზიდვა;
32. მკაფიო და შეფასებადი სამიზნე ნიშნულებით შემუშავდეს სტრატეგია, რათა გაუმჯობესდეს აფილირებული პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა;
33. პროგრამული განვითარებისა და კვლევის ოფისის საქმიანობა განხორციელდეს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სივრცეში და ორიენტირებული იყოს კვლევითი აქტივობების განხორციელებაზე;
34. უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის კვლევითი აქტივობებისათვის და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისთვის გამოყოფილი იქნას ადეკვატური ფინანსური დახმარება;
35. სტრატეგიული განვითარების და ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა იძლეოდეს შესაბამის ინდიკატორებს ამ სფეროში დაწესებულებისა თუ ცალკეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად;
36. უზრუნველყოფილ იქნეს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად დაწესებულების ახალი ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება;
37. რეკომენდირებულია საკლასო აუდიტორიებში გაგრილების სისტემის მონტაჟი;
38. რეკომენდირებულია ეტლით მოსარგებლებს ჰქონდეთ მეორე სართულზე ასვლის საშუალება, ეს შეიძლება გადაწყდეს, როგორც ლიფტის მონტაჟით, ასევე სპეციალური მექანიკური დანადგარის მონტაჟის საშუალებით;
39. რეკომენდირებულია განახლდეს ტექნიკურ-მატერიალური ბაზა, განსაკუთრებით თუ სტუდენტების მიღების შესაძლებლობა ექნება უნივერსიტეტს (პროექტორები, კომპიუტერები);
40. განახლდეს უნივერსიტეტის Microsoft-ის პროგრამები და შეძენილ იქნას მათი ლიცენზირებული ვერსიები;
41. რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ გაიაზროს და ქმედითი ღონისძიებები ჩაატაროს ფინანსური მდგრადობის მისაღწევად;
42. რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ მოახდინოს შემოსავლების დივერსიფიცირება არსებული მატერიალური ბაზის გამოყენებით;
43. რეკომენდირებულია უს ჯორჯიამ დანერგოს ფინანსური მართვის, შეფასების და კონტროლის ეფექტური, თანამედროვე მექანიზმები და ფინანსური პოლიტიკა ორგანულად იყოს ინტეგრირებული უნივერსიტეტის სხვა ფუნქციონალურ ერთეულებთან;
44. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გამოიყენოს ფინანსური მოდელირების ის ინსტრუმენტები, რომელიც მაქსიმალურად მიახლოვებს საპროგნოზო მაჩვენებელს და რეალურ შედეგებს და ამით თავიდან აიცილოს ფინანსური კრიზისის დადგომა.



საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N89 გადაწყვეტილებით სტუდენტების მიღების შეზღუდვის დათქმა დაუწესდათ მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დაწესებულების პერსონალის საკითხს. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა თხოვნით ექსპერტებს, რომ განხილვა დაეწყოთ მეოთხე სტანდარტის მიმოხილვით და შემდგომ გადასულიყვნენ სხვა სტანდარტებზე.

ექსპერტმა, დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში ძირითადად შეაფასეს მეოთხე სტანდარტი, რადგან სწორედ მეოთხე სტანდარტის შეფასების შედეგად გადაწყდა დაწესებულებისათვის სტუდენტების მიღების შეზღუდვა. თუმცა, ექსპერტმა ასევე, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის განმავლობაში შეაფასა ყველა სტანდარტი, რადგან წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სხვა სტანდარტებთან დაკავშირებითაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტი წინა საქმის წარმოების პირობებში იყო შეფასებული როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში“, ხოლო ახლა შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“ სტანდარტთან.

ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ნაწილობრივ გამოსწორებული იყო წინა ჯგუფის რეკომენდაციები, თუმცა ბუნებრივია, ჯგუფს ჰქონდა განსხვავებული რეკომენდაციებიც. წინა დასკვნის მიხედვით გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ დაწესებულებაში უნდა განახლებულიყო კონტრაქტები პერსონალთან, რომელიც გარკვეულწილად უკვე გამოსწორებული იყო. ასევე გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ შემუშავებულიყო დაწესებულებაში პერსონალის შენარჩუნების გრძელვადიანი პოლიტიკა და წახალისების მექანიზმები. ექსპერტმა დიანა ლეჟავამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა არ იყო დაწესებულებაში გამოსწორებული. მან აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო გაცემული დაწესებულებისათვის, რომელიც გულისხმობდა ახალი სასწავლო კურსების დანერგვას. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ ორი ახალი სასწავლო კურსი შეიმუშავა. ამ კურსებთან დაკავშირებით დაწესებულებაში მიმდინარეობდა კომუნიკაცია აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან იმის თაობაზე, რომ კურსები, რომლებიც იკითხებოდა დაწესებულებაში ყოფილიყო წაყვანილი დარგის სპეციალისტების მიერ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქალბატონი, რომელიც კითხულობდა ერთ-ერთ კურსს ჰქონდა პროფესიული გამოცდილება, თუმცა მას არ გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 4.1 კომპონენტთან მიმართებით გაცემული იყო რეკომენდაცია პერსონალის წახალისების მექანიზმების შემუშავებასთან დაკავშირებით, იქედან გამომდინარე რომ პერსონალის წახალისების მაჩვენებლები ფინანსური კუთხით არ იყო წარმოდგენილი ინსტიტუციის მიერ. ექსპერტმა განმარტა, რომ უნდა მომხდარიყო პერსონალის წახალისებისა და მათი დაფინანსების სპეციალური გეგმის შედგენა. მან აღნიშნა, რომ გარკვეულწილად არსებობდა ეს სისტემა, თუმცა ფინანსური განვითარება არ იყო ასახული პერსონალის წახალისების სისტემებში.

ექსპერტმა განმარტა, რომ 4.2. კომპონენტთან მიმართებით სტუდენტებისა და პროფესორების შეფარდების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელი იყო. თუმცა, თუკი დაწესებულება

გადაწყვეტდა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდას ამ შემთხვევაში პროფესორების დამატება იქნებოდა აუცილებელი. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ახალი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის შეფასების საკითხს და იმას, რომ პერსონალი ვალდებული იყო ყოველწლიურად განახლებული რეზიუმე მიაწოდებინა დაწესებულებისათვის. თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მთავარი იყო განისაზღვრა იმისა თუ რის საფუძველზე დაადგენდა პერსონალის კვალიფიციურობას დაწესებულება და აღნიშნა, რომ სწორედ ამ კრიტერიუმების შექმნაზე საუბრობდნენ ექსპერტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციის შესაბამისობა აღნიშნულ სტანდარტის კომპონენტებთან მიმართებით, საერთო ჯამში იყო გაუმჯობესებული.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ მოხდა სტუდენტებისა და პროფესორების შეფარდების გამოთვლა, მას აინტერესებდა გამოთვლის რაიმე ზოგადი სტანდარტი ხომ არ არსებობდა დაწესებულებაში. ექსპერტმა დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ თავად უნივერსიტეტმა განსაზღვრა ეს მაჩვენებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მან როგორც განათლების ექსპერტმა, გაითვალისწინა OSED-ის სტანდარტი, რაც გულისხმობს შეფარდებას 1/17-თან. მან განმარტა, რომ დაახლოებით ეს სტანდარტი შეესაბამება ასევე უნივერსიტეტის სტანდარტს.

საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში იყო ჩანაწერი კონკრეტულ პიროვნებაზე, რომელიც სასწავლო კურსებს - „ბრენდინგსა და ორგანიზაციული ქცევის საფუძვლებს“ კითხულობდა და რეალურად ის იყო ინგლისური ენის სპეციალისტი და რომ მისი კვალიფიკაცია, აღნიშნული კურსის წასაკითხად გამომდინარეობდა მხოლოდ მისი გამოცდილებით მთარგმნელობით სფეროში. დალი კანდელაკმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, ამავე დროს ეს პიროვნება იყო ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი და მოწვეული პერსონალი. საბჭოს წევრი, დალი კანდელაკი დაინტერესდა, რამდენად იყო დეკანი პარალელურად მოწვეული პერსონალი დაწესებულებაში.

დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა აღნიშნა, რომ ეს ქალბატონი იყო ბიზნეს ლიტერატურის - „ლურჯი ოკეანის“ სერიების მთარგმნელი და მრავალი ბიზნეს ლიტერატურა ჰქონდა თარგმნილი. ასევე, მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები „ბრენდინგი და ორგანიზაციული ქცევა“, მას ჯერ არ ჰქონდა წაკითხული და რომ ასევე, ეს იყო ის არჩევითი სასწავლო კურსი, რომელიც ჯერ სტუდენტებს არ ჰქონდათ არჩეული. რექტორმა განმარტა, რომ ეს საკითხი აღნიშნული იყო წინა ჯგუფის ექსპერტებთანაც, რომ ეს ქალბატონი უბრალოდ იყო ჩართული ინგლისურენოვანი სილაბუსის შემუშავებაში. ს

აბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ თუკი ეს პიროვნება ასეთი კვალიფიციური იყო, მაშინ რატომ არ იყო ის შტატში. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ ის იყო ინგლისური ენის სპეციალისტი, თუმცა მას არ ჰქონდა ხარისხი ამ მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, მას აინტერესებდა თუ რა მეთოდოლოგია იყო შემუშავებული დაწესებულებაში პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით და რა მექანიზმებით ხორციელდებოდა პერსონალის პროფესიული განვითარება. დაწესებულების წარმომადგენელმა და

მრჩეველმა მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ პერსონალის შერჩევა ხდებოდა კვალიფიკაციის მიხედვით. მან განმარტა, რომ ადამიანური რესურსების სამსახურს შემუშავებული ჰქონდა პერსონალის მხარდაჭერის პოლიტიკა, ტარდებოდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ტრენინგები, სემინარები, სადაც პერსონალი მუდმივად მონაწილეობდა. საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა დააზუსტა კითხვა, კერძოდ, მას აინტერესებდა მეთოდოლოგია - თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე ხდებოდა ამა თუ იმ პერსონალისთვის ფინანსების გამოყოფა და მის განვითარებაზე ზრუნვა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ პერსონალის მხარდაჭერის შემთხვევები ძალიან ბევრი იყო და შესაბამის სიტუაციებში ფინანსური სამსახური გამოყოფდა თანხებს ინდივიდუალურად. მაგალითად, გამოვიდა სახელმძღვანელო „საერთაშორისო სტატისტიკა“ მათი პროფესორის ავტორობით. ასევე თეა თულაშვილმა ადამიანური რესურსების სამსახურის უფროსმა გაიარა ტრენინგი. დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა თულაშვილიმ განმარტა, რომ ხდებოდა პერსონალის გამოკითხვა და შეფასება, როგორც ურთიერთშეფასების კითხვარით, ასევე აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - თვითშეფასების კითხვარის საშუალებით, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა პერსონალის განვითარების დონის განსაზღვრა. ასევე, კითხვარებს ავსებდნენ სტუდენტები, რომლებიც აფასებდნენ, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე, აკადემიურ პერსონალს.

საბჭოს წევრი, გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა, თუ ვინ შეფასდა ადმინისტრაციული პერსონალიდან ამგვარი კითხვარით და რა შედეგი დადგა ამ შეფასების შედეგად. დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა თულაშვილმა განმარტა, რომ მაგალითად, მათი შეფასების საფუძველზე მოხდა თვითონ პირადად მისი გადამზადება. ასევე პროფესორებისთვის დაინიშნა ინგლისური ენის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულებას, თუ რა ფინანსები იყო გამოყოფილი წლიურად პერსონალის მხარდაჭერის აქტივობებისთვის და რა მექანიზმის საფუძველზე ხდებოდა ფინანსური რესურსების გამოთხოვა ფინანსური სამსახურიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ფინანსური სამსახურის კონსულტანტმა, ლელა ბახტაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი წარმოდგენილი იყო იმ სახით, რომელიც სტრატეგიული მიზნების შესრულებას ზედმიწევნით ითვალისწინებს. ასევე, დაწესებულებაში არის შემუშავებული დოკუმენტები, რომელიც ითვალისწინებდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების დანერგვას. პერსონალის მხარდაჭერის აქტივობები შეადგენდა ბიუჯეტის 5%-ს, ეს იყო ჯამში 20 640 ლარი, რაც 2019 წელს გაიზარდა და შეადგინა 24 000 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენი თანამშრომელი და სტუდენტი ჰყავდა დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ განმარტა, რომ სულ 52 თანამშრომელი იყო დაწესებულებაში, აქედან 26 აკადემიური პერსონალი, 7 მოწვეული სპეციალისტი. დაწესებულებაში ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან იყო 1/6, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან იყო - 1/7. აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან იყო 1/13. დაწესებულებაში იყო 120 აქტიური სტუდენტი, ხოლო სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა იყო 300.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხეთისიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, რომ ეს გამოყოფილი თანხა ყველა თანამშრომელს ეხებოდა თუ არა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სხვადასხვა სამოტივაციო ღონისძიებები ხორციელდებოდა უნივერსიტეტში აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების განვითარების მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ბახტაძემ აღნიშნა, რომ სამეცნიერო ნაწილისთვის მთლიანად პერსონალის განვითარებაზე გამოყოფილი იყო 24 537 ლარი.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სტუდენტებთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ინსტიტუციაში სწავლობდა ერთი უცხოელი სტუდენტი და მისთვის საინტერესო იყო რა ენაზე სწავლობდა ეს სტუდენტი. რექტორმა სალომე პირველმა, აღნიშნა, რომ ის ქართულ ენაზე სწავლობდა და რომ ის იყო საქართველოს მოქალაქე.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ როგორ აპირებდნენ განესაზღვრათ თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის მათი ტიპის უნივერსიტეტისთვის მომავალში. მან აღნიშნა, რომ არსებული, თანაფარდობა უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 1/70. სალომე პირველმა აღნიშნა, რომ თანაფარდობას დატოვებდნენ სწორედ ისე როგორც ახლა იყო. თუმცა, სხვა პროგრამის დამატების შემთხვევაში თანაფარდობა გაიზრდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ ნახეს მათ მსგავსი ტიპის დოკუმენტი დაწესებულებაში, რომელიც აწესრიგებდა პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სტრატეგიას. ექსპერტმა დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ ეს იყო გაწერილი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ შეაჯამა გარკვეული საკითხები. პირველი რაც მან განმარტა, შეეხებოდა იმ ორ ინგლისურენოვან კურსს, რომელზეც საბჭოს მსვლელობისას გამახვილდა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ ინტერვიუების დროს სხვადასხვა საკითხზე არაერთგვაროვანი პასუხები მიიღეს ექსპერტებმა. პირველ რიგში, მან განმარტა, რომ დადგა საკითხი, თუ რამდენად შეეძლო ბრენდინგის წიგნის მთარგმნელს წაეკითხა ბრენდინგის კურსი. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ თუ ჩამოვიდოდნენ უცხოელი სტუდენტები მათთვის სხვა წაიკითხავდა ამ კურსს. ექსპერტმა განმარტა, რომ უცხოელი და ქართველი სტუდენტების ასეთი სეგრეგირება არ მიაჩნდათ სწორად.

ექსპერტმა შემდეგი კომენტარი გააკეთა ფინანსებთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ის რიცხოვრივი მონაცემები, რომლებიც ახლა გაჟღერდა და ის მონაცემები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის დროს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გამოითხოვეს აქტიური ბიუჯეტი და კვლევებზე დახარჯული იყო მხოლოდ 670 ლარი. გარდა ამისა, სტრატეგიული გეგმა მისი აზრით იყო საკმაოდ ამბიციური. შემოსავლების პროგნოზში აღნიშნული იყო, რომ 3 წლის ვადაში შემოსავლები იზრდებოდა 10-ჯერ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს იყო არარეალისტური პროგნოზი იმ უნივერსიტეტისთვის, რომელსაც არ გააჩნდა ალტერნატიული შემოსავალი. ექსპერტმა განმარტა, რომ მას შთაბეჭდილება დარჩა ვიზიტის დროს, რომ ეს დაწესებულება ატყუებდა სტუდენტებს და საკუთარ თავს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მოუწოდა ექსპერტს დაეცვა ეთიკის ნორმები.

ექსპერტმა, დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ კვლევის მიმართულებით სტრატეგიულ გეგმაში მოცემული ფინანსები იყო შემცირებული.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომ გარკვეული მონაცემების აცილება იმით ხომ არ იყო განპირობებული, რომ სტუდენტები ვერ მიიღო დაწესებულებამ და მოხდა სტრატეგიული ბიზნეს გეგმის გადახედვა, ასევე, ის დაინტერესდა თუ წარმოადგინა დაწესებულებამ ახალი სტრატეგიული ბიზნეს გეგმა. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროსაც გამახვილდა ამ საკითხზე ყურადღება. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არსებული ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ სავალალო იყო. ვიზიტის დროს ექსპერტებმა არაერთგვაროვანი პასუხები მიიღეს იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება ამ საკითხების გადაჭრას, რომ ერთ შემთხვევაში ამ პრობლემის მოგვარებას დაწესებულება გეგმავდა ინვესტორის შემოყვანით, რომელიც დააფინანსებდა დაწესებულებას. ექსპერტმა განმარტა, რომ რეალურად ეს ნათელი წერტილი იყო, რადგან ასეთ მდგომარეობაში სწორი იყო, რომ დაწესებულებას მოეძია ფინანსური პარტნიორი. რაც შეეხებოდა დოკუმენტების გამოთხოვას, ექსპერტებმა განიხილეს ის დოკუმენტები რაც წარმოდგენილი იყო ვიზიტამდე, ასევე, ვიზიტის დროს გამოითხოვეს მიმდინარე ბიუჯეტი, რადგან სტრატეგიულ გეგმაში არ იყო გაწერილი სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა დაწესებულებას მიმართა, აპირებდნენ თუ არა ისინი ინგლისურ ენაზე ინსტიტუციაში არსებული ერთადერთი პროგრამის მომზადებას. ასევე, მას დაინტერესებდა, თუ გამოცხადდა აკადემიური პერსონალისთვის კონკურსი და თუ იყო საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინგლისური ენის ცოდნა. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ თუ გაიზრდებოდა სტუდენტების რაოდენობა, იმ შემთხვევაში მოხდებოდა ახალი პერსონალის აყვანა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლელა ბახტაძემ განმარტა, რომ ბიუჯეტზე საუბრისას მნიშვნელოვანი იყო აღნიშნათ დაწესებულების მიერ საპარტნიორო ფონდის საგრანტო პროექტის მოგების საკითხი, რომელზეც უნივერსიტეტი მუშაობდა. მან აღნიშნა, რომ რეალურად პროექტის თანხა არ იყო სრულად გახარჯული, რომელიც გაწერილი იყო 2018-2019 წლებზე, ეს კი ძალიან ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რადგან ზოგადად, სასწავლო წლის დასრულებისას ხდებოდა ბიუჯეტის ხელახალი შეფასება. მან განმარტა, რომ 2019 წელზე გაწერილი თანხები რომ ყოფილიყო სრულად გამოყენებული ახლა დაწესებულების ბიუჯეტში თანხების დეფიციტი იქნებოდა.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რა საგრანტო პროგრამაზე იყო საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ საპარტნიორო ფონდი ჩაერთო ბიბლიოთეკის დაფინანსებასა და მოდერნიზებაში. ეს იყო დავით საგანელიძის სახელობის ბიბლიოთეკა, რამეთუ დავით საგანელიძე დაწესებულების კურსდამთავრებული იყო. ეს გრანტი მოგებული იყო 2017 წელს, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ საკითხის დამადასტურებელი ხელშეკრულება არსებობდა, თუმცა ეს არ ყოფილა მოთხოვნილი ექსპერტების მხრიდან. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ ეს

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ვიზიტამდე და არც ვიზიტის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხეთისიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რა რაოდენობა იყო ათვისებული 24 500 ლარიდან ამ ეტაპისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ლელა ბახტაძემ აღნიშნა, რომ დაახლოებით 5000 ლარი იყო გახარჯული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მეხუთე სტანდარტმა აიწია სრულ შესაბამისობაში, მას აინტერესებდა ეს როგორ მოხდა, იმ პირობებში თუკი, დაწესებულება ატყუებდა პერსონალს და სტუდენტებს, შესაბამისად, გამოდიოდა, რომ ყველა რეკომენდაცია კონფლიქტში იყო ერთმანეთთან. დაწესებულების რექტორმა სალომე პირველმა აღნიშნა, რომ ინვესტორი პოტენციურად შეიძლება ყოფილიყო დამფუძნებელი და იმ შემთხვევაში, თუკი ინსტიტუცია შევიდოდა ჩიხში, დამფუძნებელი მოახმარდა დამატებით თანხებს დაწესებულებას, და რომ ახლა სწორედ ამ შემთხვევასთან იყო საქმე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მერაბ მიქელაშვილმა აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები არასწორად იყო გაგებული ინტერვიუების დროს. როგორც ახლა იყო გამოთქმული ექსპერტთა მიერ, ასეთივე შეფასება იყო აღნიშნული დასკვნაში. პროგრამის ხელმძღვანელის აზრით, დასკვნაში თურმე შეიძლება დაფიქსირდეს, რომ „ძველმოდური“ პროგრამა ჰქონდა უნივერსიტეტს. მან აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას აფასებდნენ ავტორიზაციის ექსპერტები, რომლებიც ფსიქოლოგები იყვნენ და ეს არ იყო სწორი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესის დროს მას პირადად ჰქონდა საუბარი ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელთან, ინგლისელ ექსპერტთან ბატონ კოლინ რაბანთან 2018 წელს. საუბარი შეეხებოდა იმას, თუ როგორ შეიქმნა პროგრამა. მან აღნიშნა, რომ ხაზი უნდა გასმულიყო ფაქტზე, რომ მათ განიხილეს კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი და არა სასწავლო უნივერსიტეტის და უნივერსიტეტისა, სადაც შეიძლება დაწესებული ყოფილიყო კვლევის შესახებ მაღალი სტანდარტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ისაუბრეს იმაზე თუ რა კომპეტენციები უნდა ჰქონოდა 21-ე საუკუნეში დასაქმებულ ადამიანს და რა მიდგომები ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებს. მან აღნიშნა, რომ შეთანხმდნენ იმაზე, რომ პროგრამა ითვალისწინებდა ექვსივე საგნობრივ კომპეტენციას. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ქალბატონი მაია ვასაძე, რომელიც კითხულობდა ბრენდინგს, იყო ბიზნეს ლიტერატურის გამორჩეული წიგნების მთარგმნელი. ეს იყო ასევე არჩევითი კურსი, რომელიც ექსპერტთა რჩევით იქნა დამატებული. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, დაწესებულება გეგმავდა ბალტიის საერთაშორისო აკადემიასთან ერთად ერთობლივი პროგრამის განხორციელებას. ასევე, მან განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის პროგრამიდან ხდებოდა პროფესორების მოწვევა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მერაბ მიქელაშვილმა განმარტა, რომ საბჭოს წევრებს შეეძლოთ ენახათ უცხოელი ექსპერტის ავტორიზაციის საბჭოზე სკაიპით ჩართვის ოქმის ჩანაწერი, სადაც მან თქვა, რომ ბედნიერი იქნებოდა, ამ ტიპის კოლეჯები ჰქონოდა ინგლისს.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრეებს, დაეცვათ ეთიკის ნორმები და აღნიშნა, რომ ეს იყო ავტორიზაციის საბჭო და აკრედიტაციის საკითხებში გადასვლა არ იყო რეკომენდებული. მარიამ დარბაიძის მოსაზრებით ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ეხებოდა არა ავტორიზაციის, არამედ აკრედიტაციის სტანდარტებს.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განმარტა, რომ მან ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის განვითარება შეაფასა ინსტიტუციურ ჭრილში იქედან გამომდინარე, რომ მასაც ჰქონდა შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილება. მან აღნიშნა, რომ შვიდი წელი იყო ჰარვარდის სტრატეგიის ინსტიტუტთან აფილირებული და შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირება იყო მისი სფერო. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტს, რომ მისი პოზიცია გასაგები იყო, თუმცა აკრედიტაციის სტანდარტების მიმოხილვა ავტორიზაციის საბჭოს უფლებამოსილებაში არ შედიოდა. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ როდესაც პროგრამა არ იყო აკრედიტებული, ამ შემთხვევაში პროგრამა არსებობდა ავტორიზაციის პირობებში, ამიტომ მისი შეფასება შესაძლებელი იყო ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ეხებოდა პროგრამების შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ თუ რეგულირებადი არ იყო მიმართულება, პროგრამის განხორციელება შესაძლებელი იყო ავტორიზაციის ფარგლებში, თუმცა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტი არ უნდა შედიოდეს ისეთ დეტალებში, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, ამა თუ იმ სასწავლო კურსის დამატება ან შეცვლა.

ექსპერტმა ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში არ იყო საუბარი კონკრეტული კურსების შინაარსის შეცვლაზე. მისი თქმით საუბარი იყო იმაზე, რომ ინსტიტუციის „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაში არსებული ზოგიერთი კურსი ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა, ასეთი კურსი იყო მაგალითად, „მარკეტინგის კომპლექსი.“ დაწესებულების რექტორმა, სალომე პირველმა განმარტა რომ 5 დეკემბერს ჩატარდა დაწესებულებაში კონფერენცია და სწორედ იქ იქნა დასმული ეს საკითხები.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხეთისიაშვილმა განმარტა, რომ „მარკეტინგის კომპლექსი“ ასეთი კურსი არ არსებობს და ამ კურსის სახელწოდება რეალურად იყო „მარკეტინგული ნარევი“, marketing mix, რაც იყო ინგლისურიდან ნათარგმნი. ირაკლი ხეთისიაშვილი ჩაეკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, სასწავლო კურსის შინაარსთან დაკავშირებით, რომელსაც თავად მაკა კობალავა კითხულობდა. ირაკლი ხეთისიაშვილი დაეთანხმა შინაარსის ვალიდურობას. თუმცა რეკომენდაცია მისცა დაწესებულებას, რომ სახელწოდება შეცვლილიყო, ვინაიდან ექსპერტებს ეს ჰქონდათ დაფიქსირებული.

ექსპერტმა, დიანა ლეჟავამ განმარტა, თუ რატომ ჩავიდა ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის სიღრმეებში. მან აღნიშნა, რომ 3.2 სტანდარტის კომპონენტის მიხედვით შესაძლებელი იყო პროგრამების ხარისხისა და შინაარსის შეფასება. ამრიგად, ექსპერტებმა შეაფასეს უნივერსიტეტის მდგომარეობა არსებულ სტანდარტთან შესაბამისობის ჭრილში.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ კონსულტაციები გაიარეს პარტნიორ უნივერსიტეტთან, რომელთან ერთად იგეგმებოდა ერთობლივი პროგრამის განხორციელება. საბჭოს წევრმა, დალი კანდელაკმა მიმართა დაწესებულებას კითხვით, თუ რამდენად არსებობდა ერთობლივი პროგრამის მონახაზი და ასევე, ამ პროგრამაზე რა ენაზე განხორციელდებოდა სწავლება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არსებობდა მონახაზი და პროგრამა ინგლისურენოვანი იქნებოდა, თუმცა დამოკიდებული იქნებოდა კანონმდებლობაზე. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა, ის რომ პროგრამა ყოფილიყო ლოკალური ბაზრისთვის მისაღები, რათა ყოფილიყო მობილობის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა რამდენად იყო გაწერილი სტრატეგიული განვითარების გეგმაში, დაწესებულების მიერ ერთობლივი პროგრამის განხორციელება, რაზეც ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ეს საკითხი გაწერილი იყო სტრატეგიაში.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები აკეთებენ სასწავლო პროცესის და პერსონალის შეფასებას, მას აინტერესებდა, თუ გამოვლინდა უკმაყოფილება სტუდენტების მხრიდან რაიმე საკითხის მიმართ, ასევე, დაინტერესდა რამდენად თანახმა იყო 120 სტუდენტი, რომ ავტორიზებულ რეჟიმში დამატებულ პროგრამაზე ესწავლა.

ექსპერტმა ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ სტუდენტები ძალიან კმაყოფილები იყვნენ იმ გარემოთი, სადაც სწავლობდნენ, აგრეთვე, დაწესებულების მცირე ზომიდან გამომდინარე სტუდენტების მიმართ მიდგომა იყო ინდივიდუალური. მან განმარტა, რომ ექსპერტებმა ნახეს გამოკითხვის ნედლი მასალა, თუმცა, რეალურად შესაძლებელი იყო მასში მხოლოდ 2 ადამიანს ჰქონოდა მონაწილეობა მიღებული. შესაბამისად, რთული იყო შედეგების რელევანტურობის დადგენა. დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები იყო წარმოდგენილი დიაგრამის სახით. ასევე, გამოკითხვებისთვის სტუდენტების შერჩევის რაოდენობა ძალიან დაბალი იყო, ხოლო თვითონ ექსპერტები 6-8 სტუდენტს შეხვდნენ, რომლებიც არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ გამოკითხვისას რაოდენობრივი კვლევის მეთოდები იქნა გამოყენებული, გამოყენებული იყო ლიკერტის სკალა, რომლითაც სტუდენტებს შეეძლოთ გადაენაწილებინათ თავიანთი კმაყოფილება 0-10 ქულიან შეფასების სკალაზე. ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ მაგალითად, პერსონალის კითხვარებს ეწერა სახელები და გვარები, შესაბამისად, ეჭვქვეშ იდგა თუ რამდენად შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული მონაცემები ადეკვატური. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ შეეძლო მოეტანა ეს კითხვარები და ეჩვენებინა საბჭოს წევრებისათვის.

საბჭოს წევრმა, ქეთი ცხადაძემ კითხვით მიმართა როგორც საბჭოს წევრებს, ასევე, ცენტრის წარმომადგენლებს, მან აღნიშნა, რომ რეალურად, ინსტიტუციას სტუდენტთა მიღების შეზღუდვა დადგა მხოლოდ მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტებმა შეაფასეს შვიდივე სტანდარტი. ამ პირობებში კი საბჭოს წევრს აინტერესებდა საბჭო აფასებდა მხოლოდ მეოთხე თუ შვიდივე სტანდარტს. საბჭოს წევრი, ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა,

რომ შვიდივე სტანდარტი შეფასდა იმიტომ, რომ სხვა სტანდარტებშიც იყო წარმოდგენილი გარკვეული რეკომენდაციები, მან განმარტა, რომ სასურველი იყო ცენტრს დაეზესტებინა იყო თუ არა რეკომენდაცია საფუძველი იმისა, რომ გადახედილიყო ყველა სტანდარტი.

დაწესებულების რექტორმა სალომე პირველმა აღნიშნა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით მათ გააჩნდათ არგუმენტირებული პოზიცია, რადგან დასკვნაში იყო ნათქვამი, რომ არ იყო შესწავლილი შრომის ბაზრის მოთხოვნები. მან განმარტა, რომ - მისია პასუხობდა შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს, ასეთი წინადადება იყო დასკვნაში მოცემული. მისი აზრით, ეს ორი ჩანაწერი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს შრომის ბაზრის კვლევა არ მოუთხოვიათ. არსებული პროგრამა სრულად იყო დაფუძნებული შრომის ბაზრის კვლევაზე. ბუნებრივია, ერთწლიანმა შეზღუდვამ, რა თქმა უნდა, მოახდინა გავლენა მის განვითარებაზე. ასევე, დასკვნაში იყო ჩანაწერი, რომ სტუდენტებთან მიმართებით ირღვეოდა ვადები. ამასთან დაკავშირებით ექსპერტებისთვის წარდგენილი იქნა ბრძანებები და ცხრილი, თუმცა ექსპერტებმა ეს არ გაითვალისწინეს, როდესაც საუბრობდნენ სტატუსშეჩერებული სტუდენტების პრობლემაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიხეილ მაჩიტაძემ აღნიშნა, რომ დაისვა კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ სწავლობდნენ 2004-2003 წლებში ჩარიცხული სტუდენტები მათთან. აღნიშნული პირები იყვნენ 2014, 2015 და 2016 წლებში მობილობით გადმოსულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებებიც იქნა წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ არანაირი სამეცნიერო წყარო არ იყო მითითებული შრომის ბაზრის კვლევაში, მხოლოდ მითითებული იყო „იუთუბის“ და „ბიზნეს პრეს ნიუსისის“ ბმულები. დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ ბაზრის კვლევაში ისინი დაეყრდნენ რამდენიმე წყაროს, მათ შორის შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროს, საქსტატის კვლევებს. მან ამავდროულად აღნიშნა, რომ ჩატარებული ჰქონდათ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ კურსდამთავრებულთა 87% იყო დასაქმებული, მათგან 65% იყო დასაქმებული პროფესიით, 37% კი იყო მაგისტრანტი, მათ შორის უცხოეთში წასული მაგისტრანტები. თუმცა, ის დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ ბიბლიოგრაფიის წესის დაცვა აუცილებელი იყო ამ შემთხვევაში. ეს ყველაფერი გაკეთებული და წარმოდგენილი იყო, თუმცა, ექსპერტებს ეს ინფორმაცია არ მოუთხოვიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კობალავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო ურთიერთსაწინააღმდეგო რეკომენდაციები, რომელიც შესაძლებელი იყო წარმოდგენილიყო რჩევების სახით. მან განმარტა, რომ დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტს აქცენტი უნდა გაეკეთებინა ერთ-ერთ სფეროზე, მაგალითად მარკეტინგზე, ფინანსებზე, და ა.შ. ასევე, საუბარი იყო იმაზე, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედეგზე ვერ გადიოდა. ამავდროულად რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ პროგრამას უფრო მეტი პრაქტიკული კურსი უნდა დამატებოდა, რომელთაც უხელმძღვანელებდნენ პრაქტიკოსები. მან განმარტა, რომ ჰყავდათ 40%-მდე პრაქტიკოსი სპეციალისტი, მათ შორის წარმოდგენილნი იყვნენ საქსტატისა და ეროვნული ბანკიდან თანამშრომლები, იყო წარმოდგენილი სიაც. მან განმარტა, რომ მისი აზრით, ეს პროგრამა არა იყო ისეთი, რომ ხარისხის სტანდარტი

დაწესებულია. მან დასძინა, რომ დაწესებულება საერთაშორისო ექსპერტმა, კოლინ რაზანმა შეაფასა და მისი აზრით, პროგრამის ხანგრძლივობა შეესაბამებოდა ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებს, პროგრამის შედეგები მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული და აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტებს შეესაბამებოდა. ასევე, მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტ გოჩა თუთბერიძის შეფასებაც არ უნდა დამდგარიყო ეჭვქვეშ.

საბჭოს წევრი, ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა დაწესებულების სტუდენტები თუ სწავლობდნენ მეწარმეობის საფუძვლებს და ამ შემთხვევაში, მათი აზრით რა განსხვავება იყო სტარტაპსა და მეწარმეობის საფუძვლებს შორის, ხოლო, თუ მეწარმეობა ისწავლებოდა, მაშინ რატომ იყო საჭირო ცალკე სტარტაპის სწავლება. ექსპერტმა დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ პროგრამაში აქცენტი არ კეთდებოდა მეწარმეობაზე, ინოვაციასა და სტარტაპებზე, ეს იყო აღნიშნული დასკვნაშიც. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პირველ სემესტრში ისწავლებოდა საგანი ბიზნესის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა. მან დასძინა, რომ, დაწესებულებაში ასევე შეიქმნა ბიზნეს-ლაბორატორია, რომლის დებულებაში წარმოდგენილი იყო სწორედ სტარტაპების შექმნის ხელშეწყობა. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ეს საგნები შეიძლება განხილულიყო სამაგისტრო დონეზე, ეს იყო ინოვაციური მენეჯმენტი და ა.შ. რომელიც არ საჭიროებდა საბაკალავრო დონეზე სწავლებას. შესაბამისად, ძალიან რთული იყო როდესაც არასპეციალისტი აფასებდა პროგრამას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად გადიოდა პროგრამა სწავლის შედეგზე. ასევე, ის დაინტერესდა შეფასებების უნიფიცირების საკითხით. ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა საგნისთვის ყველა ტესტი იყო ერთნაირი და დასვა კითხვა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, რომ ერთი და იგივე საშინაო დავალებას შეეფასებინა ყველა საგანს. საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა იყო თუ არა ჩაშლილი კურსის შეფასების მეთოდები ცალკე, მაგალითად, ესე, პრეზენტაცია და ა.შ. ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში სხვადასხვა შეფასების სისტემა იყო მითითებული. პროგრამის ხელმძღვანელმა, მერაბ მიქელაშვილმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა აკადემიური თავისუფლების საკითხს. საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა დასძინა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ერთი პროგრამა, შესაბამისად ამაში საგანგაშო არაფერი იყო. ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ აღნიშნა, რომ ბრენდინგში, კორპორაციულ მართვასა და ფინანსურ აღრიცხვაში იყო ერთნაირი შეფასების სისტემა. საბჭოს წევრი, მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა 13-ვე სილაბუსში ერთნაირად იწერებოდა თუ არა 40 ქულა და იყო თუ არა პრეზენტაცია, სემინარი ან ქეისი წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმებში. ექსპერტმა ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ არ ახსოვდა ეს ფაქტი და ვერ დაადასტურებს ამას.

საბჭოს წევრმა, ქეთი ცხადაძემ კითხვით მიმართა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ლაშა მარგიშვილს. მას აინტერესებდა, რამდენად იყო ექსპერტების შეფასების პრერეგატივა მხოლოდ მეოთხე სტანდარტი, თუ ამ შემთხვევაში, ყველა სტანდარტი უნდა ყოფილიყო შეფასებული. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25¹

მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც დაუდგინდა შეზღუდვა სტუდენტთა მიღების უფლება, ამ შეზღუდვის ძალაში შესვლიდან 4 თვის გასვლის შემდგომ უფლებამოსილია ცენტრში წარადგინოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ ანგარიში, რომლის საფუძველზეც ცენტრი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახორციელებს მონიტორინგს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ყველა ის სტანდარტი, სადაც წინა ექსპერტთა ჯგუფს დაფიქსირებული ჰქონდა რეკომენდაცია. აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ დაწესებულებას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა დაუდგა მე-4 სტანდარტში არსებული შეფასების გამო. შესაბამისად, მისი მოსაზრებით ძირითადი აქცენტი მიზანშეწონილი იყო გაკეთებულიყო მე-4 სტანდარტის შეფასებაზე, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავდა ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში სხვა სტანდარტების განხილვას.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა დაწესებულებას და ექსპერტებს, თუკი დამატებით იყო პრობლემური საკითხები, მომხდარიყო მათი განხილვაც.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ამ დასკვნის შეფასება იყო უკეთესი წინა შეფასებისას დაწერილ დასკვნასთან შედარებით და დაინტერესდა თუ რა გააუმჯობესა დაწესებულება, რაც გახდა ერთი საფეხურით უკეთესი შეფასების საფუძველი. ექსპერტმა დიანა ლეჟავამ აღნიშნა, რომ 4.2 კომპონენტში დაწესებულება შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტმა განმარტა, რომ გაუმჯობესდა ერთი კონკრეტული კომპონენტი, რამაც ავტომატურად გამოიწვია სტანდარტის შეფასების გაუმჯობესება. თუმცა მან დასძინა, რომ თავისთავად, ეს კონკრეტული სტანდარტი კავშირში იყო ფინანსებთან და კვლევასთან, რაც იყო უფრო მეტად პრობლემური.

ექსპერტმა, ლარისა პატარაიამ განმარტა, რომ ვიზიტის პროცესში გარკვეული პოზიტიური საკითხებიც გამოვლინდა. მაგალითად, კრიტიკული აზროვნების კურსი, რომელიც დაწესებულებაში იკითხებოდა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა მხოლოდ 4.1 და 4.2 კომპონენტებით არ მომხდარა დაწესებულების შეფასება. ექსპერტმა, ასევე, დასძინა, რომ მაგალითად, ბიზნეს-ლაბორატორიის არსებობაც ძალიან პოზიტიური მოვლენა იყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს იყო სივრცე, სადაც იჯდა დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ სივრცესთან დაკავშირებით ინტერვიუების დროს მიიღეს არაერთგვაროვანი პასუხები, რადგან აღინიშნა, რომ ეს სივრცე განკუთვნილი იყო არა სტუდენტებისთვის, არამედ პერსონალისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეალურად პროფესორი საპროფესოროში იქნებოდა თუ ლაბორატორიაში ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო ჩანაწერი, რომ ვებგვერდზე არ მუშაობდა მობილობის ღილაკი. მან დასძინა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას სტუდენტების მიღებაზე ჰქონდა დაწესებული შეზღუდვა, მობილობასაც ვერ განახორციელებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მობილობის ღილაკის გახსნით მოქმედი კანონმდებლობა იქნებოდა დარღვეული, ვინაიდან ეს აპრიორი ნიშნავდა, რომ დაწესებულება მობილობის წესით იღებდა სტუდენტებს. მას კი ამ ეტაპზე შეზღუდული ჰქონდა სტუდენტთა მიღება.



საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და თუ კითხვები ამოწურული იყო, გამოაცხადა შესვენება.

გამოცხადდა შესვენება: 17:10

სხდომა განახლდა 17:19 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ გაიზიარა ის პოზიტიური ცვლილებები, რაც დაწესებულებაში იყო ბოლო ვიზიტიდან მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტამდე. მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ რისთვისაც დაწესებულებას საავტორიზაციო წარმოების ფარგლებში დაუდგინდა სტუდენტთა მიღების შეზღუდვა ეს გარემოება იყო გაუმჯობესებული და აღარ იყო საჭირო შეზღუდვის გაგრძელება. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს სცდებოდა შეფასება, რომელიც დაფიქსირებული იყო მე-3 სტანდარტთან მიმართებით და საბჭოს მოსაზრებით, რეკომენდაციების უმრავლესობა უფრო რელევანტური იქნება აკრედიტაციის პროცესისთვის. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ არსებული შეფასებით, ამ ეტაპზე დაწესებულება იყო მზად, რომ მიეღო სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიასთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და დაწესებულებისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25¹ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს უმაღლეს სასწავლებელ ჯორჯიას (ს/კ: 204876991) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.

საბჭომ თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოზე, რომ 2 წლის განმავლობაში გადამოწმდეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებები.

საბჭოს წევრმა რამაზ საყვარელიძემ დატოვა სხდომა 17:25 საათზე.

2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მონიტორინგის შედეგად გამოთქმული რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ტალიაშვილმა საბჭოს წინაშე წარადგინა რეკომენდაციები:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განხორციელდეს ცვლილება, რომელიც ეხება სტუდენტის სტატუსის შეჩერებას; კერძოდ გასწორდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს სწავლის დაწყებიდან 5 კვირის შემდეგ ეზღუდება სტატუსის შეჩერების უფლება;
2. მოწესრიგდეს სტუდენტის პირადი საქმე, უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად სტუდენტს შეუჩერდეს/შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი;
3. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;
4. მომზადდეს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ორივე მისამართზე;
5. განხორციელდეს შენობის ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის;
6. დამონტაჟდეს კამერები აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობაში მეორე სართულზე;
7. მომზადდეს დასკვნები შენობის უსაფრთხოების შესახებ - რუსთაველის გამზირი N19 და დავით აღმაშენებლის გამზირი N40.
- 8.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება. მან აღნიშნა, რომ 2019 წლის 19 სექტემბერს ცენტრში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტებს განესაზღვრათ კონკრეტული სტანდარტების კომპონენტები შესაფასებლად. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის საფუძველი გახდა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის საჩივარი. აღნიშნული წარმოების ფარგლებში ექსპერტებს 5.1. და 7.1 სტანდარტების შეფასება დაევალათ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი წარიმართა საკმაოდ კოლეგიალურ გარემოში. ჩატარდა საჭირო შეხვედრები და გასაუბრებები, რაც საკმაოდ ინფორმატიული აღმოჩნდა. 5.1 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილი იყო ისეთი საკითხები როგორც იყო,

სტუდენტის სტატუსი, მობილობა და ა.შ. ჩანაწერიდან იკითხებოდა, რომ სტუდენტი 5 კვირის გასვლის შემდეგ ვეღარ აღიდგენდა სტატუსს, რაც აღმოჩნდა, რომ ტექნიკური შეცდომა იყო და გამოსწორდა. ექსპერტმა დასძინა, რომ რეალურად ასეთი შემთხვევა არც არასოდეს დაფიქსირებულა უნივერსიტეტში. მან ასევე დაამატა, რომ რეესტრში რეალურად აღმოჩნდნენ სტუდენტის სტატუს შეწყვეტილი პირები, (მათ შორის საჩივარში აღნიშნული პირი), რომელთაც რეალურად არ ჰქონდათ სტატუსი შეჩერებული, რაც ასევე დაკორექტირდებოდა დაწესებულების მიერ.

ექსპერტმა განმარტა, რომ შემდეგი საკითხი იყო საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ორი წლის განმავლობაში განეხორციელებინათ შემოქმედებითი პროექტი. ექსპერტმა განმარტა, რომ ეს არ იყო შესაბამისობაში საბაკალავრო პროექტის დაცვის წესთან და ასეთ შემთხვევაში მათ სტატუსი უნდა შეჩერებოდათ. 7.1 კომპონენტთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სახელმწიფოსგან გადაცემული ჰქონდა ორი შენობა რუსთაველისა და აღმაშენებლის გამზირზე. ორივე მათგანი შეფასდა და გამოიკვეთა, რომ შენობები სსსმ პირებისთვის არ იყო ადაპტირებული, ლიფტი არის რუსთაველის გამზირზე, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუ რამდენად შეიძლება ამით ისარგებლოს ეტლით მოსარგებლე ადამიანმა. ექსპერტმა განმარტა, რომ სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა დასრულებული სახით არ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება, აღმაშენებლის შენობასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე შენობის რესტავრაციის პროექტზე ტენდერია გამოცხადებული და უსაფრთხოების შესახებ დასკვნა არის ჩადებული ტენდერის დებულებაში. შპს „არტ პარალელთან“ დაკავშირებით საჩივარში გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კამერები სხვა პარამეტრების მატარებელია, შესაბამისად ვერ იქნებოდა ამ შპს-ის მიერ გამოყენებული, რადგან ის კინო გადაღებითაა დაკავებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან ტელევიზიისთვის იქნა კამერები შემენილი, რამაც ასევე გადაჭრა კამერებით სარგებლობის დეფიციტის პრობლემა. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საჩივარში ნახსენებ კაფესთან დაკავშირებით აღმოჩნდა, რომ ეს არის კერძო საკუთრება და უნივერსიტეტი არანაირ საქმიან ურთიერთობაში არ იმყოფება მასთან. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რაც გამოიკვეთა ვიზიტისას და ჩაითვალა, რომ 7.1 არის ნაწილობრივ შესაბამისობაში.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ ორივე შენობა არის გადაცემული უნივერსიტეტისთვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით სახელმწიფოსგან, შესაბამისად ვერ გასხვისდებოდა სახელმწიფოს ნებართვის გარეშე. აქედან გამომდინარე, საჩივარში ნახსენები შენობის კაფეზე გასხვისების საკითხი, არ შეესაბამება სიმართლეს, ხოლო თუ სახელმწიფო გაასხვისებს ამ შენობას, ამ შემთხვევაშიც კი ეს სახელმწიფოს გადაწყვეტილება იქნება. ექსპერტმა ნინო ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ვიზიტისას არ დადასტურდა ამ ტერიტორიის გასხვისების საკითხი. ირაკლი ხვთისიაშვილმა განმარტა, რომ 8 კვადრატ სახელმწიფოს გადაცემული აქვს შეზღუდვის უფლებით და მესაკუთრე ვერაფერს ააშენებს. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათ შეუძლიათ ქალაქის მერიაში წარადგინონ განაცხადი და ის იმოქმედებს შესაბამისად, 1 თვის განმავლობაში დააშლევინებს კაფეს ან დააჯარიმებს 10 000 ლარით, რაზეც დაწესებულებამ მიუგო, რომ

სწორედ ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურის მიერ მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სარჩელში ცოტა არასწორადა იყო ფორმულირებული ის საკითხი, რაზეც მიდიოდა დავა. უნივერსიტეტის მეორე კორპუსს ჰქონდა ორი შესასვლელი: ეზოს და აღმაშენებლის გამზირის მხრიდან. ეზოს შესასვლელში ახლა ფიქსირდებოდა ჭიშკარი, რომელიც 2 წლის წინ არ იყო. მესაკუთრე იყო წინააღმდეგი, რომ ეს ჭიშკარი ჩასმულიყო. მას შემდეგ რაც შენობა გადაეცა დაწესებულებას, დაწესებულების წარმომადგენლების პასუხისმგებლობა გახდა უსაფრთხოების საკითხების დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ თევზაძემ აღნიშნა, რომ მათ მიმართეს განვითარების ფონდს, რადგან განვითარების ფონდმა გააკეთა რეაბილიტაცია და მათ აღნიშნეს, რომ ვერ ხერხდებოდა ამ ჭიშკრის ჩასმა, ხოლო შემდგომ მაინც მოხერხდა ჭიშკრის ჩასმა მესაკუთრის პოზიციის მიუხედავად. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ეს იმიტომ მოხდა, რომ დაწესებულებამ მიმართა სახანძრო უსაფრთხოების სამსახურს და მათ დაადასტურეს, რომ ამ ფორმით არსებობა არ იყო უსაფრთხო, არ შეესაბამებოდა სახანძრო უსაფრთხოების ზომებს, რადგან ვერ მოხერხდებოდა სახანძრო მანქანის შესვლა ტერიტორიაზე. ამ პროცესში გამოიკვეთა სახანძრო ზედამხედველობასთან, განვითარების ფონდსა და ქალაქ თბილისის მერიასთან ურთიერთობით, რომ ქალბატონის საკუთრებასა და ჭიშკარს შორის უნდა ყოფილიყო ბუფერული ზონა. თუმცა, ეს ფართიც იქნა გაყიდული მერიის მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად არაფერ შუაში არ იყო ეს პროცესი დაწესებულებასთან. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარი იყო რის გასხვისებას ედავებოდნენ უნივერსიტეტს.

პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ საევაკუაციო გასასვლელის უსაფრთხოების ზომები თუ არ იყო დაცული დაწესებულება ავტორიზაციას ვერ გაივლიდა. 2006 წელს დაწესებულებამ პირველი ავტორიზაცია გაიარა და შემოიერთა კულტურის ინსტიტუტი, იქ იდგა ჯიხური ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ახლა უფრო კეთილმოწყობილი იყო. დაწესებულება წააწყდა დიდ წინააღმდეგობას უსახური ჯიხურის გამო, რადგან საევაკუაციო გასასვლელში ჯიხური ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა და კეტავდა საევაკუაციო გასასვლელს. იმ პერიოდში, განათლების სამინისტრომ რექტორი გააფრთხილა, რომ აუცილებლად უნდა აღებულიყო ჯიხური. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა მაშინდელ იურისტს, მარიამ ბლიაძეს, რომ დაწესებულებას მიეღო ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა განმცხადებელ მარინა მიქაუტაძეს, მას აინტერესებდა, ახლა რა პოზიცია გააჩნდა მას დაწესებულებაში. მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ 2010 წელს იგი რექტორმა გამოუშვა, მან აღნიშნა, რომ თავად კარგად იცოდა რატომ და რისთვის. განმცხადებელმა მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ იურისტმა ყველაფერი გააკეთა თავისი ახლობლობით ეკონომიკისა და განათლების სამინისტროში, რომ 1 თვეში აღებულიყო ჯიხური. მიუხედავად ამისა, პირობა არ შესრულდა, საევაკუაციო გასასვლელი არ იყო გათავისუფლებული. 2011 წელსაც იგივე მოხდა, ჯიხურის აღება ვერ მოხდა. შემდგომში, 2008 წელს ჯიხურის მეპატრონემ როგორც კი ნახა, რომ ჯიხური პრობლემას წარმოადგენდა, მოახდინა ჯიხურის რეალიზაცია და მას უფრო დახვეწილი

ფორმა მისცა. ჯიხურის მეპატრონე მოიხმარდა უფასოდ გაზს, წყალს, ელექტროენერგიას მთლიანად უნივერსიტეტის ხარჯზე. განმცხადებელმა მარინა მიქაუტაძემ განაცხადა, რომ იურისტმა მარიკა ბლიაძემ დიდი ძალისხმევა ჩადო იმაში, რომ მოეგვარებინა ჯიხურის საკითხი ეკონომიკის და განათლების სამინისტროში, მაგრამ მიიღო თანხმობა იმაზე, რომ ეს ჯიხური ერთი თვე უნდა ყოფილიყო ტერიტორიაზე და არა წლობით.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა მიმართა განმცხადებელ მარინა მიქაუტაძეს კითხვით, თუ რა კავშირში იყო უნივერსიტეტი ამ თემასთან. განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძემ უპასუხა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელს დაინტერესება ჰქონდა ამ ყველაფერში, შემდეგში კი, ზურა ტატიშვილმა ეს ჯიხური კაფედ გადააკეთა და გამოყო მიღები უნივერსიტეტისგან.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ცხადაძემ მიმართა განმცხადებელ მარინა მიქაუტაძეს, რომ თუ საქმე ეხებოდა სახელმწიფო საკუთრებას გადაწყვეტილება საბოლოოდ უნდა ყოფილიყო მიღებული ეკონომიკის სამინისტროს მიერ. მან განმარტა, რომ საბჭოზე დამსწრე პირების სუბიექტური შეფასებები, შეხედულებები ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ გამოდგებოდა. ასევე, მან განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭო იყო კოლეგიალური ორგანო, რომელიც ვერ გადაწყვეტდა ამ პრობლემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ პირველი ავტორიზაცია უნივერსიტეტმა მიიღო 2011 წელს შენიშვნების გარეშე, პერიოდი, რომელსაც მარინა მიქაუტაძე ეხებოდა იყო ინსტიტუციური აკრედიტაცია, რომელიც იყო ურთულესი პერიოდი, როდესაც უმაღლესი დაწესებულებების რაოდენობა დავიდა 260-იდან 45-ზე. მიუხედავად ამისა, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი ძალიან ღირსეულად გამოიყურებოდა.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა მიმართა კითხვით, რომ თუ აღნიშნული ჯიხური იქამდეც არსებობდა კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტის დროს, რატომ არ მოხდა თავის დროზე მრიცხველების გაცალკეება. დაწესებულების რექტორმა, გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ქალბატონი მარინა პირველად არ სვამდა ამ საკითხს და რომ ის შესაშური თანმიმდევრობით აყენებდა ამ საკითხს სხვადასხვა ინსტანციებში წლების მანძილზე. შესაბამისად, ამ და სხვა საკითხების გამო უნივერსიტეტში მოდიოდა სხვადასხვა კომისია, ხოლო, მისი საჩივრები სრულდება სხვადასხვა კომისიების დაწესებულებაში მუშაობით. მან განმარტა, რომ ეს კომერციული ფართი უკვე დიდი ხანია რაც არსებობდა. ასევე, მან განმარტა, რომ როდესაც ეს შენობა გახდა დაწესებულების საკუთრება, აღმოჩნდა, რომ კაფის ფართობი დაუკანონა იმდროინდელმა ხელისუფლებამ კერძო პირს, მიანიჭა მას საკადასტრო ნომერი და ეს შენობა იქცა ცალკე საკუთრებად. გადასახადებს, რა თქმა უნდა, არ იხდიდა დაწესებულება. რექტორმა აღნიშნა, რომ იყო არა ერთი მცდელობა, რომ დაებრუნებინათ ფართი. პასუხი ხელისუფლების მხრიდან იყო, რომ ეს კერძო საკუთრება იყო და მას ხელს ვეღარ ახლებდნენ. ვერც ერთი ხელისუფლების დროს ვერ შეძლო დაწესებულებამ საკუთრების უკან დაბრუნება და სტატუს-კვოს აღდგენა. ასევე, ისე რომ ამის საქმის კურსში დაწესებულება არ ყოფილა, ქუჩის რეაბილიტაციის დროს ეს ფართი გარემონტდა და გადაკეთდა კაფედ. რექტორმა განმარტა, რომ ეს საკითხი ქალბატონ მარინას და მის თანამებრძოლებს რამდენჯერმე ჰქონდათ დაყენებული სხვადასხვა ინსტანციებში,

თითქოს რაიმე სარგებელი ჰქონდა დაწესებულებას კაფისგან, თუმცა არც ერთ ინსტანციას ეს გადაწყვეტილებას არ დაუმტკიცებია.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ რეალურად კანონმდებლობით რესტორანს, კაფე-ბარს ჰქონდა განსაზღვრული განსხვავებული გადასახადები. შესაბამისად, ზოგადად თვითონ კომუნალური პროვაიდერი კომპანიების ინტერესი იყო, რომ სხვა ტარიფი გამოერთმია კომერციულ დაწესებულებისთვის.

განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძე აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც ყველა ინსტანციაში მოხდა ამ საკითხის დაყენება, რეალურად მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა მიღების გამოცალკევება. ასევე, განმცხადებელმა დაასახელა კოლეგა, რომელმაც მისი აზრით, მეორე ინფარქტი მიიღო რექტორის წყალობით. ამ რეპლიკასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა განმცხადებელს, რომ იგი ძალიან სერიოზულ ბრალდებებს აყენებდა.

განმცხადებელმა იკითხა, თუ როგორ მოხდებოდა ხანძრის შემთხვევაში შენობაში შესვლა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოხდებოდა შლანგების გადაბმა, თუმცა შენობაში ვერ მოახერხებდა შესვლას სახანძრო დიდი ეკიპაჟი, რადგან გასასვლელი იყო ვიწრო.

მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მუშაობდა დაწესებულებაში. აღნიშნული პირი დაწესებულებაში მომხდარ გაზის აფეთქებას შეესწრო, ამის გამო მას სმენასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა, ასევე, იმდენად დიდი აფეთქება იყო, რომ პოლიცია თვითონ მოვიდა. განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ 2019 წლის 11 იანვრის სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში არის შემადგენელი შედეგები მოცემული და საუბარი იყო ძალიან ბევრ კანონდარღვევაზე. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტს ძალიან ბევრი ფართი ჰქონდა გადაცემული იჯარით კერძო შპს-ებისთვის. ასევე, მან დასძინა, რომ 2019 წლის ივლისში ფინანსთა სამინისტრომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე რექტორის წინააღმდეგ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის ბრალდებით. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ ეს იყო ავტორიზაციის საბჭო და ადგენდა დაწესებულების მდგომარეობის შესაბამისობას მხოლოდ ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. მან დასძინა, რომ საბჭოზე იმდენი ბრალდება იქნა წამოყენებული, რომ შესაძლო იყო დაწესებულების წარმომადგენლებს ცილის წამების გამო ეჩივლათ. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოთქმული ბრალდებების განხილვა სცილდებოდა საბჭოს კომპეტენციას.

მარინა მიქაუტაძე აღნიშნა, რომ დაწესებულების რექტორი არჩეული იყო მესამე და მეოთხე ვადით და მან უნივერსიტეტი მიიყვანა ფატალურ მდგომარეობამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რა მდგომარეობა გამოვლინდა რექტორის არჩევის ვადებთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა, ხომ არ გამოვლინდა კანონთან რაიმე შეუსაბამობა. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მათ არ ეხებოდათ ამ საკითხის შესწავლა, რადგან მათ ბრძანებით ჰქონდათ განსაზღვრული კონკრეტული სტანდარტების შემოწმება, მათ შეამოწმეს მხოლოდ 5.1 და 7.1 სტანდარტები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის ხედავდა პიროვნულ დაპირისპირებას განმცხადებელსა და რექტორს შორის და სთხოვა განმცხადებელს, რომ ესაუბრა კონკრეტულად იმ საკითხებზე, რომელიც საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში შედიოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან თევზაძემ მიმოიხილა მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებული კომპონენტები. მან განმარტა, რომ ის იყო კატასტროფის რისკის შემცირების ექსპერტი განათლებაში, მას ჰქონდა მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება კრიზისების მართვის საბჭოში და მან აღნიშნა, რომ სწორედ ამ საკითხების მოგვარებით იყო დაინტერესებული. მან აღნიშნა, რომ 2015 წლიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ სამი რეორგანიზაცია განიცადა და დაწესებულებასთან მიმართებით მათი დამოკიდებულებაც შეიცვალა. 2017 წლიდან არსებობდა მოწერილობა და ამის გამო ვერ შემუშავდა დასკვნა და 2019 წლის ჩათვლით ჰქონდათ ვალდებულება, რომ შეემუშავებინათ დასკვნა. შემდეგ თვითონ დაწესებულებამ გაიარა რეორგანიზაცია, რადგან სტანდარტები შეიცვალა. რეალურად დაწესებულებას ჰქონდა უფლება, რომ 2020 წლის 31 დეკემბრამდე წარედგინა უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ დასკვნა.

განმცხადებელმა მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ მას აინტერესებს აკადემიური საბჭოს ლეგიტიმაციის საკითხი. მისი განცხადებით, აკადემიურმა საბჭომ დაივიწყა კეთილსინდისიერება, 2014 და 2018 წელს მეოთხე და მესამე ვადით აირჩა გიორგი მარგველაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო თანხების გაფლანგვა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დოკუმენტაციის გაყალბება, ორგანიზებული სახელმწიფო ქონების განიავება. ასევე, მან აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებიდან იყვნენ გარკვეული წევრები, რომლებიც აკადემიურ საბჭოში იყვნენ 9, 12, 14 წელი. საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა აკადემიური საბჭოს დებულებაში გაწერილი იყო, რომ რჩება საბჭოს წევრების გარკვეული ნაწილი რჩებოდა უცვლელი და ახალი წევრები ემატებოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტებს, მეორე სტანდარტში იყო თუ არა რაიმე დარღვევა. ექსპერტმა, ნინო ტალიაშვილი აღნიშნა, რომ არ უნახავთ ეს დოკუმენტაცია, რადგან მიზნობრივად ამოწმებდნენ ბრძანების მიხედვით 5.1 და 7.1 სტანდარტს. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა შეიქმნა ცენტრის ბრძანებით და შეზღუდული იყო კონკრეტული ვალდებულებებით.

დაწესებულების რექტორმა, გიორგი მარგველაშვილმა მიმართა მარინა მიქაუტაძეს, რომ ის თავად იღებდა რექტორის არჩევნებში მონაწილეობას და კარგად იცოდა წყვეტა იყო თუ არა. რაზეც განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძემ მიმართა, რომ ის ყალბ დიპლომებს ბეჭდავდა, ასევე, განმარტა, რომ ხელოვნურად იყო შექმნილი წყვეტა, რომ თავიდან გამხდარიყო რექტორის არჩევა. დაწესებულების რექტორმა, გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ 2011 წლის მარტში მას (გიორგი მარგველაშვილს) შეუწყდა რექტორის უფლებამოსილება და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ნოშრევან ჩხაიძე კულტურის სამინისტროს ბრძანებით. ბატონი ნოშრევანი იყო აღნიშნულ პოზიციაზე 2 თვის მანძილზე, შემდგომ მან დანიშნა რექტორის არჩევნები და ის აირჩა უკვე რექტორის პოზიციაზე, ეს იყო სამინისტროს ბრძანებით. ბუნებრივია, მან მოიყვანა ახალი გუნდი და მათ დაიწყო მუშაობა. ნოშრევან ჩხეიძე იყო მაგისტრანტი და მუშაობდა დაწესებულებაში და მან იმუშავა 2011 წლის

ოქტომბრის ჩათვლით, შემდგომ მისივე გადაწყვეტილებით მან დატოვა თანამდებობა. დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ მოვლენები განვითარდა ისე, რომ ისევ დაინიშნა არჩევნები, რომელზეც თავიდან გავიდა გიორგი მარგველაშვილი და ის აირჩიეს რექტორად. განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ შეიცვალა მთავრობა, და სწორედ ამიტომ მოხდა ეს ცვლილება. საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მან დააზუსტა, რომ კამერების რაოდენობის სიმცირის გამო შემცირდა სტუდენტების კონტიგენტის რაოდენობა კინოსარეჟისორო პროგრამაზე. ასევე, მას აინტერესებდა, თუ როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება პროგრამის ფინანსურ სტაბილურობას. დაწესებულების რექტორმა, გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ 600 ათასი გრანტი გამოიყო კულტურის სამინისტროს მხრიდან, რომლის საშუალებითაც მოხდა სტუდიის ტექნიკის სრული განახლება. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 5 სტუდენტის მიღება იყო ოპტიმალური ამ პროგრამისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტი თავის თავს ინახავდა. სტუდენტების მიღება ხდებოდა ორ წელიწადში ერთხელ.

განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში გაყალბებული იყო 1000-ზე მეტი დიპლომი, რაზეც საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ბრალდება განმცხადებლების მხრიდან. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ 2010 წლიდან ყველა დიპლომი უნდა ყოფილიყო ატვირთული ხარისხის ეროვნული ცენტრის ბაზაში და მას აინტერესებდა, თუ რითი ადასტურებდა ქალბატონო მარინა მიქაუტაძე, რომ ეს დიპლომები იყო ყალბი. ექსპერტმა ნინო ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ცენტრის მიერ გადმოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე მოქმედებდა, აქედან გამომდინარე ამ სტანდარტების განხილვა ვიზიტის ფარგლებში არ მომხდარა.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის წარმომადგენელმა, ანა სამსონაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ძალიან დასაბუთებული პასუხი გასცა ცენტრს არგუმენტირებული პოზიციის ფორმით, ეს იყო 25 გვერდიანი დოკუმენტი. ასევე, მან განმარტა, რომ რაც შეეხებოდა სტუდენტთა დაგეგმარების წესს, ეს ეფუძნებოდა ბაზრის და კურსდამთავრებულების კვლევას. რაც შეეხებოდა დასაქმებას, ეს საკითხიც მკაცრად იყო დარეგულირებული.

საბჭოს წევრმა, მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ საჩივრებში ძალიან ბევრ ადგილას იყო მოხსენიებული ერთი და იგივე ადამიანების სახელები, რომლებზეც აღნიშნული იყო რომ გაიცა როგორც ბაკალავრის, ასევე ხუთწლიანი სწავლების დიპლომი. 2005 წლამდე საქართველოში ორ საფეხურიანი სწავლება არ არსებობდა, შესაბამისად, გარდამავალ წლებში იყო მითითება, რომ გაცემულიყო ხუთწლიანი სწავლების დიპლომები. განმცხადებელმა ნინო მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ მისი ქალიშვილი 2005 წელს იყო მეოთხე კურსზე თეატრალურ ინსტიტუტში. მეოთხე კურსზე გამოუცხადეს, რომ მეხუთე წლის სწავლება აღარ ექნებოდათ. თუმცა ბაკალავრის ნაცვლად დიპლომში მიეთითა დიპლომირებული სპეციალისტი 4 წლიანი სწავლებით და ასე მოხდა მთელი ჯგუფის შემთხვევაში. რეალურად, სტუდენტებმა აიღეს დიპლომები, რომლებიც არ აღმოჩნდა ვარგისი, შესაბამისად, ეს ადამიანები დღემდე მუშაობას ვერ იწყებდნენ.

საბჭოს წევრმა, მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ დიპლომის აღიარების ორი გზა არსებობდა, თუ ყალბი იყო დიპლომი შესაბამის სამსახურებს უნდა განეხილათ ეს საკითხი ანდა აღიარების სამსახურში უნდა შესულიყო განცხადება.

განმცხადებელმა, მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ მას ჰქონდა დოკუმენტაცია, რომ მთელი რიგი დარღვევების შესახებ ცენტრმა წარუდგინა პროკურატურას განსახილველად დოკუმენტაცია. ასევე, მან განმარტა, რომ ერთ სტუდენტს, რომელსაც უნდოდა ამერიკაში სასწავლებლად წასვლა, მას უარი უთხრეს ამერიკაში სწავლის გაგრძელებაზე, რადგან საელჩოში ნახეს, რომ ეს დიპლომი იყო გაყალბებული. საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, იმის შესახებ, რამდენად ჰქონდა უფლებამოსილება საელჩოს ელიარებინა დიპლომის ნამდვილობა, რაზეც მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ დიპლომი გადამოწმდა. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფს შეეძლო შესაბამისი ორგანოებისთვის მიემართა ამ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, ავტორიზაციის საბჭო არ იყო ამ კუთხით უფლებამოსილი.

მარინა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ მან პროკურატურაში შეიტანა საქმე დაწესებულების წინააღმდეგ, ასევე, მან დასძინა, რომ მას გარკვეულწილად უკმაყოფილების გრძნობა დარჩა. მან აღნიშნა, რომ როდესაც გიორგი ვაშაკიძემ დარღვევების ნუსხა გადაუგზავნა სამინისტროს, ანალოგიური წერილი უნდა გადმოგზავნილიყო საინიციატივო ჯგუფთან. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტმა ვერ დააკმაყოფილა ვერც ერთი სტანდარტი და აღნიშნულ საკითხებზე დოკუმენტები უკვე გადაგზავნილი იყო პროკურატურასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა განმცხადებელს, რომ განმცხადებელი ძალიან ბევრ ადამიანს უყენებდა უსაფუძვლო ბრალდებებს.

გამოცხადდა შეხვედრა: 19:07 საათზე.

სხდომა განახლდა: 19:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარმოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ: 203851028) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭომ დააყენა შუამდგომლობა, რომ 7.1. სტანდარტთან მიმართებით დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორება დადასტურებულიყო ერთი წლის განმავლობაში. ასევე, საბჭომ დააყენა შუამდგომლობა, რომ თუ შესაძლებელი იყო, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, დაწესებულებას მისი ყოფილი პერსონალისთვის გაეჭუბა ბრძანების დამიენიქებიანა ემერიტუსის სტატუსი მისი კინო ინდუსტრიაში შეტანილი წვლილის გამო. აღნიშნულ შუამდგომლობაზე გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ემერიტუსი ენიჭება მხოლოდ მომუშავე პერსონალს. მან განმარტა, რომ რამდენჯერმე გამოაცხადეს კონკურსი ბატონი გიას შესაფერის თანამდებობაზე, თუმცა ის არ იღებს კონკურსში მონაწილეობას.

საკითხების განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:31 საათზე.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე



მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

